



## სამომხმარებლო შეთანხმება

### სარგებლობის წესები და პირობები

#### ზოგადი პირობები

წინამდებარე სარგებლობის წესები და პირობები წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებას სერვისების მომხმარებელს (შემდგომში - „თქვენ“, ან „მომხმარებელი“) და სერვისების მომწოდებელს (შემდგომში - შპს „ქვიქტესტი“, „ჩვენ“, „კომპანია“) შორის და არეგულირებს თქვენს მიერ [www.quicktest.ge](http://www.quicktest.ge) ვებ გვედით სარგებლობის პირობებს (შემდგომში - „ვებ გვერდი“).

თქვენ უნდა იყოთ 18 წლის, ან ზემოთ რომ ისარგებლოთ ვებ გვერდის მომსახურებით. სარგებლობის წესებზე და პირობებზე თანხმობით, თქვენ სრულად აცნობიერებთ და ეთანხმებით შეასრულოთ ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები.

თუ თქვენ არ ეთანხმებით წინამდებარე სარგებლობის წესებს და პირობებს, გთხოვთ არ განაგრძოთ ამ ვებ გვერდით და მისი მომსახურებით სარგებლობა. სარგებლობის წესები და პირობები, შესაძლოა დროდადრო განახლდეს და დაემატოს სხვა მომსახურებები, გაუქმდეს არსებული, ან განხორციელდეს სხვა სახის ცვლილება. ვებ გვერდის მომსახურებით სარგებლობა ნებისმიერი ცვლილების შემდგომ ავტომატურად გულისხმობს თქვენს თანხმობას მომხმარებელს.

მომსახურებით სარგებლობისთვის, (შემდგომში „მომხმარებელი“) უნდა შექმნან მომხმარებლის ანგარიში. მომხმარებლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, მომსახურების შეთავაზების, თუ სარგებლობის შესახებ მიიღება მომხმარებლის პირადი გადაწყვეტილებით.



მომხმარებლის მიერ წინამდებარე სარგებლობის წესებისა და პირობების დარღვევა არ გამორიცხავს შპს „ქვიქტესტი“-ის მიერ მომხმარებლის ანგარიშის ექვემდებარებას, ან მომსახურების სრულ გაუქმებას ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

შპს „ქვიქტესტი“-ის უზრუნველყოფს ვებ გვერდზე არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას. ვებ გვერდის გამოყენებისას, თუ მომხმარებლებს მიადგებათ მატერიალური, ან სხვა სახის ზიანი, რაც გამოწვეულ იქნა წინასწარ განზრახული ქმედებით, ან/და შემთხვევითი მოვლენების, ან/და სხვა სახის ქმედებების განხორციელებისას, აღნიშნული ქმედებებით გამოწვეულ ზიანზე შპს „ქვიქტესტი“-ის არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებლების წინაშე.

### **მოქმედების სფერო**

მომხმარებლად დარეგისტრირებით თქვენ ადასტურებთ, რომ ხართ სულ მცირე 18 წლის და გაქვთ სრული უფლება და შესაძლებლობა დაეთანხმოთ ამ ხელშეკრულების პირობებს. ამასთანავე, თქვენ ეთანხმებით, რომ ხართ თქვენი ანგარიშის ერთადერთი მომხმარებელი და არ გადასცემთ სხვა პირებს თქვენი მომხმარებლის ანგარიშით სარგებლობის უფლებას. თუ სხვა პირის მიერ მოხდა ჩვენს ვებ გვერდზე თქვენი პირადი მონაცემების გამოქვეყნება, როგორცაა თქვენი ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ა.შ. გთხოვთ დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ, რის შემდეგაც ჩვენ მოვახდენთ ამ ინფორმაციის წაშლას.

### **მომსახურებით სარგებლობა**

შპს „ქვიქტესტი“-ის ვებ გვერდით სარგებლობისთვის, თითოეულმა მომხმარებელმა უნდა შექმნას მომხმარებლის ანგარიში. მომხმარებელი თანხმდება ინფორმაციის



ზუსტი და სრული სახით მოწოდებაზე. მომხმარებლის წესების და პირობების ნებისმიერი სახით დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლისთვის მომხმარებლის ანგარიშის გაუქმება და უარი მომავალში მომსახურების გაწევაზე.

### **ჯავშანი და ანგარიშსწორება**

შპს „ქვიქტესტი“-ი ვებგვერდით საშუალებას აძლევს მომხმარებლებს შეათანხმონ შეხვედრის დრო, ადგილი და სხვა დეტალები. მომხმარებლები ვებ გვერდის საშუალებით ახდენს ერთი, ან მეტი ადგილის დაჯავშნას. მომსახურების საკომისიოს გადახდა ხდება ბანკის პლასტიკური ბარათის, ან პირადი ბალანსის გამოყენებით. რის შემდეგაც, შპს „ქვიქტესტი“-ი გააგზავნის ჯავშანის დადასტურებას და ჯავშნის საიდენტიფიკაციო კოდს ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მომხმარებელთან.

### **თანხის დაბრუნება**

თქვენი მითითებული ანგარიშიდან მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრის შემდეგ, შპს „ქვიქტესტი“-ი არც ერთი შემთხვევაში არ აბრუნებს უკან ამ თანხას. მომხმარებლის ადგილზე არ გამოცხადების, ან დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევაში შპს „ქვიქტესტი“-ი არ იღებს ვალდებულებას მომხმარებლის წინაშე აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება. გათავისუფლებული ადგილი, ავტომატურად გახდება ხელმისაწვდომი სხვა მომხმარებლებისთვის.



## ინტელექტუალური საკუთრება

ყველა სახის უფლება ინტელექტუალურ ქონებაზე რაც არის შპს „ქვიქტესტი“-ი ვებგვერდზე, არის მისი საკუთრება. ეს უფლებები მოიცავს და არ შემოიფარგლება უფლებამოსილებით ბაზებზე, საავტორო უფლებებზე, დიზაინზე (იქნება, თუ არა დარეგისტრირებული), სავაჭრო ნიშნებზე (იქნება, თუ არა დარეგისტრირებული) და მსგავსი ტიპის სხვა უფლებებზე, რაც შესაძლოა არსებობდეს მსოფლიოში. ყველა სავაჭრო ნიშანი, ლოგო, მომსახურების ნიშანი, კომპანიის, თუ პროდუქტის სახელი, წამოწეული [www.quicktest.ge](http://www.quicktest.ge) ვებ გვერდზე არის კომპანიის საკუთრება.

ამ შეთანხმებით თქვენ თანხმდებით, რომ შპს „ქვიქტესტი“-ი სრულად ფლობს ყველა სახის უფლებას, მათ შორის საკუთრების უფლებას მსგავსი ტიპის მასალებზე, მათ შორის შპს „ქვიქტესტი“-ი სავაჭრო ნიშნის ცვლილებაზე, ან შპს „ქვიქტესტი“-ის ნიშნის ცვლილებით მიღებულ ნებისმიერ მასალაზე და არ მოახდენთ საავტორო, სასაქონლო ნიშნის, კომერციული საიდუმლოების, ინტელექტუალურ, ან ნებისმიერი სხვა საკუთრების უფლების დარღვევას.

## ზარალის ანაზღაურება

თქვენ აცხადებთ თანხმობას, რომ სრულად აუნაზღაურებთ შპს „ქვიქტესტი“-ს, მის წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორებს, თანამშრომლებს, აქციონერებს ყოველგვარ ზიანს, ზარალს, დანახარჯს, მათ შორის ადვოკატის მომსახურების გონივრულ ხარჯს, და/ან დაიცავთ მას მესამე მხარის ნებისმიერი ბრალდებისგან, ნებისმიერ იმ შემთხვევაში თუ ასეთი ზიანი, ზარალი, ან დანახარჯი დადგება თქვენს მიერ წინამდებარე სარგებლობის წესების და პირობებით განსაზღვრული პირობებისა და დებულებების არასრული და არაჯეროვანი შესრულების შედეგად.



## უსაფრთხოება

შპს „ქვიკტესტი“-ის ვებგვერდი არის კომუნიკაციის პლატფორმა მომხმარებლებისთვის, კომპანია არ უზრუნველყოფს მომხმარებლების მიერ ვებ გვერდზე მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმებას.

[www.quicktets.ge](http://www.quicktets.ge) ვებ გვერდის გამოყენებით თქვენ ეთანხმებით, რომ თქვენ:

- არ მოაჩვენებთ საკუთარ თავს სხვა პიროვნებად, ან ორგანიზაციად.
- თქვენ გადაიხდით ყველა ტიპის გადასახადს, რაც გათვალისწინებულია თქვენს მიერ მომსახურების მიღებასთან.
- გამოცხადდებით დანიშნულების ადგილზე დათქმულ დროს;
- დაუყოვნებლივ აცნობებთ კომპანიას, თუ გასურთ მომსახურების გაუქმება.

თუ თქვენს მიერ არ იქნება ნებისმიერი ზემოთ ნახსენები, ან სხვა პირობა დაცული შ.პ.ს ქვიკტესტი იტოვებს უფლებას შეინახოს თქვენს მიერ შეთანხმების დარღვევის შესახებ ინფორმაცია, გამოაქვეყნოს, ან გაასაჯაროოს ეს ინფორმაცია მომხმარებლის პროფილში და შეაჩეროს, ან გააუქმოს მომხმარებლის ვებგვერდზე წვდომა.

მომხმარებლებს შორის ერთმანეთთან, ან მომხმარებლების/მომხმარებლის სხვა მესამე პირებთან წარმოშობილი ნებისმიერი სახის დავა არის მომხმარებლებს შორის ან/და სხვა მესამე პირის/პირების და მომხმარებლების/მომხმარებელს შორის ურთიერთობა და ისინი არიან ერთმანეთის მიმართ ანგარიშვალდებულნი და კომპანია ზემოთხსენებული ნებისმიერი დავის შემთხვევაში არ არის ანგარიშვალდებული არც ერთი მხარის მიმართ და იხსნის თავიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას.



## პასუხისმგებლობის შეზღუდვა

შპს „ქვიკტესტი“ არ იღებს პასუხისმგებლობას, რომ ვებ გვერდზე შეთავაზებული მომსახურება, ან ინფორმაცია ყოველთვის იქნება შეუფერხებელი.

შპს „ქვიკტესტი“ არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებლების წინაშე, იმ ირიბი, შემთხვევითი ზიანის/ზარალის, გამო, რაც შესაძლოა მიადგეთ ამ ვებ გვერდით შეთავაზებული მომსახურების გამოყენების დროს.

შპს „ქვიკტესტი“ არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის ზიანის, ან დანაკარგისთვის, რაც შეიძლება მოხდეს:

- მომხმარებლის მიერ მოწოდებული ნებისმიერი არაზუსტი, არასრული ინფორმაციის გამო;
- მომხმარებლის მიერ ჯავშანის გაუქმებით;
- მომხმარებლის მხრიდან ნებისმიერი სახის ქცევისგან, როგორცაა თაღლითობა, ინფორმაციის განზრახ დამახინჯება, ვალდებულებების, ან ამ შეთანხმების დარღვევა.